დიოგენე

დაწყებითი
სკოლა

ნათია ბალხამიშვილი, სალომე ჩხეიძე,
ნინო გვილავა, ინგა ქლიბაძე

ქართული-მათემატიკა-ბუნება
III–IV კლასი

პროექტის ხელმძღვანელი: მაგდა ბარამიძე

რედაქტორი: ლალი ბაქრაძე

კონსულტანტი: ლელა ქვაჭრელიშვილი

დამკაბადონებელი: გიორგი ბაგრატიონი

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2025
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-9330

www. diogene. ge

ნათია ბალხამიშვილი, სალომე ჩხეიძე,
ნინო გვილავა, ინგა ქლიბაძე

ნაბიჯი წინ

ქართული-მათემატიკა-ბუნება

III-IV კლასი

წინასიტყვაობა

სავარჯიშო კრებული „ნაბიჯი წინ“ საგანმანათლებლო გამოცემაა, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლის ცოდნის განმტკიცებასა და მომდევნო სასწავლო წლისთვის მომზადებას, ასევე, იმ სასწავლო დანაკარგების შევსებას, რომლებიც მოსწავლემ წინა სასწავლო წელს განიცადა.

კრებული შეიცავს სხვადასხვა საგნის (ქართულის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების) სავარჯიშოებს, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს, გაამყაროს გასულ სასწავლო წელს შეძენილი ცოდნა და უნარები და მოემზადოს ახალი გამოწვევებისთვის.

კრებულის ძირითადი მახასიათებლები:

შინაარსობრივი მრავალფეროვნება: კრებულში წარმოდგენილია სავარჯიშოები ქართულ ენაში, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში, ანუ ის უზრუნველყოფს მოსწავლის კომპლექსურ მომზადებას.

შესაბამისობა: სავარჯიშოები მორგებულია შესაბამისი კლასის მოსწავლეების საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის ინდივიდუალურ განვითარებას.

ინტერაქტიულობა: კრებულში გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის დავალებები, რომლებიც მოსწავლეს ინტერესს აღუძრავს და უზრუნველყოფს მის ჩართულობას პროცესში;

პროგრესის მონიტორინგის შესაძლებლობა: კრებულში გათვალისწინებულია თვითშეფასებისა და თვითკონტროლის ინსტრუმენტები, რომლებიც ეხმარება მასწავლებლებსა და მშობლებს, თვალყური ადევნონ სწავლის პროცესს.

კრებული გაწერილია რვა კვირაზე, ბოლოს კი მოცემულია შემაჯამებელი დავალებები, ანუ სულ კრებულზე სამუშაოდ საჭიროა რვა-ცხრა კვირა, რაც სავსებით აკმაყოფილებს რემედიაციის პროგრამის მოთხოვნებს.

რაც მთავარია, ყოველი კვირის მასალის დამუშავების შემდეგ მოსწავლემ დამოუკიდებლად უნდა შეავსოს შესაბამისი თვითშეფასების ცხრილი, რომელიც წიგნს ბოლოში ერთვის. ამ გზით იგი გამოხატავს თავის განწყობილებას დავალებების შესრულებისას და იძენს თვითკრიტიკის გამოცდილებას, ხოლო მასწავლებელსა და მშობელს საშუალება ეძლევათ, უკეთ დაინახონ მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესი.

მოცემული კრებული სასარგებლო რესურსია სასწავლო პროცესის უწყვეტობის შესანარჩუნებლად და მოსწავლის აქტიურობის უზრუნველსაყოფად.

ძვირფასო მასწავლებლებო და მშობლებო! თუ თქვენს მოსწავლეს/შვილს აღენიშნება წინა წლიდან გადმოყოლილი, ამა თუ იმ მიზეზით გამოწვეული სასწავლო დანაკარგები, მაშინ ეს კრებული იდეალური ინსტრუმენტია თქვენ ხელში.

გისურვებთ წარმატებას!

ქართული

1. მოცემული მოქმედების გამომხატველი სიტყვები გაანაწილე ცხრილის შესაბამის სვეტებში:

ხატავს, შეჭამა, დარეცხა, ისეირნებს, სეირნობს, ჭამს, რეცხავს, შეჭამს, დარეცხავს, ისეირნა, დახატავს, დახატა.

წარსული დრო	**ახლანდელი დრო**	**მომავალი დრო**

2. მოცემული ნიმუშის მიხედვით აწარმოე ზედსართავი სახელების ხარისხის ფორმები:

ნიმუში:	*მოწითალო*	*წითელი*	*უწითლესი*
	_____	მწარე	_____
	მოშავო	_____	_____

3. ჩასვი გამოტოვებული სიტყვები: კუმშვა/კვეცა

სახელის ბრუნებისას ფუძის შუიდან ხმოვანი ასოს დაკარგვას _____ ეწოდება.
სახელის ბრუნებისას ფუძის ბოლო ხმოვნის დაკარგვას _____ ეწოდება.

4. დააკვირდი ბრუნებას და მიუწერე, რომელ მათგანში მოხდა კვეცა, რომელში – კუმშვა.

სახელობითი	გზა _____	კალამ-ი _____
მოთხრობითი	გზა-მ _____	კალამ-მა _____
მიცემითი	გზა-ს _____	კალამ-ს _____
ნათესაობითი	გზ-ის _____	კალმ-ის _____
მოქმედებითი	გზ-ით _____	კალმ-ით _____
ვითარებითი	გზა-დ _____	კალმ-ად _____
წოდებითი	გზა-ო _____	კალამ-ო _____

მათემატიკა

ტესტი 1

1. მიუწერე მოცემულ რიცხვებს მათი უახლოესი ასეულები:

63	490	721	876
559	431	756	910

2. მონიშნე რიცხვით ღერძზე შემდეგი რიცხვები:



30, 210, 350, 170, 410

3. ამოხსენი განტოლება:

$2 \times X = 8$ $X \times 40 = 80$

$21 : X = 7$ $X : 6 = 9$

4. შეაერთე წერტილები მიმდევრობით: A და B, B და C, C და D, D და A.

რა ფიგურა მიიღე? რას წარმოადგენს ეს წერტილები მიღებული ფიგურისთვის?



5. გიას 400 თეთრი ჰქონდა. მან 4 ცალი 50-თეთრიანი ფუნთუშა იყიდა. რამდენი ათეული თეთრი დახარჯა გიამ? რა თანხა დარჩა გიას ფუნთუშების ყიდვის შემდეგ?

6. ჩაწერე ნიმუშის მიხედვით:

135სმ=1მ 3დმ 5სმ	97სმ= … დმ … სმ	728სმ=1მ 3დმ 5სმ
246სმ= … მ … დმ … სმ	50სმ= … დმ … სმ	111სმ= … მ … დმ … სმ

ბუნება

სამიზნე ცნება: სივრცეში ორიენტირება

თემა: გეოგრაფიული ობიექტები, ჰორიზონტი, რუკა, ციური სხეულები

I. შერჩევითი დავალებები

შემოხაზე სწორი პასუხი.

1.1 მდინარის იმ ნაწილს, სადაც წყალი წარმოიშობა, ეწოდება:

ა) შესართავი;
ბ) სათავე;
გ) შენაკადი;
დ) ჭალა.

1.2 დედამიწის ან მისი გარკვეული ნაწილის გრაფიკული გამოსახულება მცირე ზომით, სიმბოლოებითა და ნიშნებით არის...

ა) რუკა;
ბ) ნახატი;
გ) ფოტო;
დ) წიგნი.

1.3 ჰორიზონტის მთავარი მხარეებია:

ა) ჩრდილოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი, დასავლეთი;
ბ) მარცხენა, მარჯვენა, ზემოთ, ქვემოთ;
გ) ზღვა, ოკეანე, კონტინენტი, მთა.

II. შესაბამისობა

სწორი პასუხები ერთმანეთს ხაზებით დაუკავშირე.

1. მდინარის ნაწილები

• სათავე	a) მდინარის გვერდით შემომავალი ნაკადი
• შესართავი	b) მდინარის დასაწყისი
• შენაკადი	c) მდინარის ბოლო ნაწილი
• კალაპოტი	d) მდინარის გრძივი არხი

III. სურათთან მუშაობა

მოცემულია რუკისა და გლობუსის სურათი. დაასახელე განსხვავებები მათ შორის.

1. _____

2. _____

IV. დაწერე მოკლე პასუხები.

1. რას ნიშნავს „ციური სხეული“?

   _____

2. ჩამოთვალე მზის სისტემის პლანეტები.

   _____

3. რით განსხვავდება ოკეანე და ზღვა ერთმანეთისგან?

   _____

V. კროსვორდის შევსება:

- **შეავსე კროსვორდი და ამოიკითხე მთავარი წინადადება. რა წინადადება მიიღე?**

1. რომელ ობიექტს უწოდებენ დედამიწის ყველაზე მაღალი ნაწილს, რომელ-საც მწვერვალი აქვს?
2. ეს არის მთა, რომლის სიმაღლე 8,848 მეტრია და რომელიც მდებარეობს ჰიმალაების მთიანეთში, ნეპალისა და ჩინეთის საზღვარზე?
3. ერთადერთი ვარსკვლავი, რომელსაც დღისით ხედავ.

4. რა ჰქვია ხმელეთის დიდ ნაწილს, რომელიც დიდ ფართობზე გადაჭიმული და გარშემორტყმულია წყლით?
5. მცენარის ერთ-ერთი ორგანო.
6. ცხელი აირის უზარმაზარი ბურთი, რომელიც სინათლეს და სითბოს ასხივებს.
7. ერთად თავმოყრილ მილიარდობით ვარსკვლავს ჰქვია...
8. მზისგან დაშორების მიხედვით პირველი პლანეტაა...
9. რა ჰქვია იმ ადგილს, სადაც მდინარე უერთდება სხვა მდინარეს, ტბას, ზღვას?
10. ბუნებრივი ან ხელოვნური წყალსატევი, რომელიც არ უერთდება ზღვას ან ოკეანეს...
11. მეშვიდე პლანეტა მზიდან დაშორების მიხედვით.
12. დედამიწის ვრცელი ნაწილი, რომელიც წყლითაა დაფარული.
13. ცივი, მტვრიანი ქვის დიდი ბურთი, რომელიც დედამიწის გარშემო ბრუნავს...
14. დედამიწის შემცირებული მოდელი.
15. მესამე პლანეტა მზისგან დაშორების მიხედვით.



არ დაგავიწყდეს თვითშეფასების ცხრილის შევსება